

არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში  
რესოციალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული  
სირთულეები და გამოწვევები



ქეთევან ჟორჟოლიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის*

*სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების*

*მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ჟორჟოლიანი

28. 01. 2022

## აბსტრაქტი

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ იმ უმთავრეს მიზანს, რომლის პრაქტიკაში სწორად განხორციელებაც დადებითად აისახება ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ ფონზე. დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის პირველი დღიდანვე იწყება და მისი დატოვების შემდეგაც გრძელდება. სწორედ ამიტომ, ძირეულია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სასჯელის მოხდის პროცესი თავიდანვე ორიენტირებული იყოს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც მაქსიმალურად მოერგება პატიმართა საჭიროებებს. პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა მიმართ კანონით განსაზღვრული პირობების ზედმიწევნით დაცვა, რათა უფრო არ გაუარესდეს მათი იქ ყოფნის ისედაც მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი.

მოცემული ნაშრომს მიზანს წარმოადგენს, გამოკვეთოს ის პრაქტიკული ხარვეზები, რომელთაც ადგილი აქვს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში და რომლებიც ასე მრავლად გვხვდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

აღნიშნული პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად კვლევის ფარგლებში მიმოხილულია სამეცნიერო წყაროები და გაანალიზებულია სხვადასხვა კვლევები თუ ანგარიშები. ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის დარღვევები, რომლებსაც ძირითადად ადგილი აქვს პრაქტიკაში, რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, ამ ნაწილში უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი უმეტეს წილად რეგულირებული და მოწესრიგებულია, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ნაშრომი პასუხს სცემს ისეთ აქტუალურ შეკითხვას, თუ რამდენად უზრუნველყოფს ქართული საპატიმრო დაწესებულებები არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს აღნიშნული პროცესის წარმატებით დაგეგმვასა და განხორციელებისთვის.

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ადგილობრივი პრაქტიკის შედარება საერთაშორისო გამოცდილებასთან ხაზს უსვამს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებულ ხარვეზებსა და შეუსაბამობას არასრულწლოვანთა უმთავრესი სასჯელის მიზანთან - რესოციალიზაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ საერთაშორისო დონესთან მიახლოებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები შეიმუშავა, მათ პრაქტიკულ აღსრულებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორცაა არასრულწლოვანთა განთავსება სრულწლოვანთა დაწესებულებებში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, მსჯავრდებულთა მხრიდან მოტივაციის ნაკლებობა, და სხვ. ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას. ამიტომ, მოცემული მიმართულებით გასათვალისწინებელია ის მიგნებები, რომლებიც არაერთ კვლავში გამოიკვეთა და საჭიროა ისეთი მექანიზმების დანერგვა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს უფრო მოქნილს, ეფექტურსა და მეტად პროდუქტიულს რომ გახდის.

**საძიებო სიტყვები:** არასრულწლოვანი, სასჯელის მიზნები, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, მართლმსაჯულება, სასჯელაღსრულების დაწესებულება.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> მოცემული გვერდი დამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში ნაშრომში „რესოციალიზაციის, როგორც არასრულწლოვანთა სასჯელის ერთ-ერთი მიზნის განხორციელება არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში“.

## **Abstract**

The resocialization-rehabilitation process of convicts is one of the primary purposes of the conviction sentence, fulfillment of which in practice positively affects the criminal situation of the country. The process of resocialization-rehabilitation starts as soon as the convict enters penitentiary institution and continues even after leaving it. Because of this, it's crucial that the execution process of the sentence in penitentiary institution is oriented on the individual treatment of convicts. Penitentiary institutions should thoroughly guarantee creation of the conditions according to the law, so that already long and tough imprisonment period of convicts does not become even less bearable.

The main objective of the given thesis is to identify the practical defects in the process of resocialization-rehabilitation of minor convicts which take place so widely in penitentiary institutions.

In order to present the problem better, there is an overview of the scientific sources and the analysis of different researchs and the reports in this thesis. During the research process we have located the malfunctions which take place usually in practice, as for the normative database, we should say that the subject is mostly regulated in that regard, what should be evaluated positively.

The thesis answers the significant question, such as the level of fulfillment of the resocialization-rehabilitation process in penitentiary institutions and what kind of programs and services are available in this process.

As a conclusion, we should say that the difference described in this thesis between the georgian and international experience underlines the existing malfunctions and incompatibility with the primary purpose of the conviction sentence – resocialization. Despite the fact that Georgia has come up with the rehabilitation-resocialization programs which are close to the international standard, there still are problems with the execution of these programs, such as imprisonment of minor convicts in the penitentiary institutions for adults, the non-existence of corresponding infrastructure, lack of motivation from the side of convicts and the lack of information about these programs. So the findings of many researchs are to be taken into account, there is a need to implement the tools which will make the rehabilitation-resocialization process more flexible, effective and productive.

**The keywords:** minor, the purpose of the conviction sentence, resocialization-rehabilitation, justice system, penitentiary institution.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> მოცემული გვერდი დამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში ნაშრომში „რესოციალიზაციის, როგორც არასრულწლოვანთა სასჯელის ერთ-ერთი მიზნის განხორციელება არასრულწლოვანთა სასჯელადასრულების დაწესებულებაში“.